საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტ გვანცა ნემსაძის

მისამართი: თბილისი, ერეკლე ტატიშვილის #5

ტელ/მობ: 593606127

Email: gvancanemsadze@gmail.com

თარიღი: 11/08/2022

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით 2022 წლის 30 მაისს თბილისის 74-ე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებს შორის, სპორტის გაკვეთილზე მოხდა კონფლიქტი, დაპირისპირება განმუხტა სპორტის მასწავლებელმა და როგორც მოგვიანებით თავად განაცხადა მოსწავლეები შეარიგა.

მიუხედავად ამისა, იმავე დღეს საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ, სკოლის მხალობლად შეიკრიბა დაახლოებით 20 მოსწავლე და მოხდა ფიზიკური დაპირისპირება, რა დროსაც მძიმედ დაიჭრა ამავე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე.

რადიო თავისუფლება ამ თემასთან დაკავშირებით ამზადებს მასალას და გთხოვთ გვიპასუხოთ შემდეგ კითხვებზე:

1. მოხდა თუ არა განათლების სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურების მიერ სკოლაში მომხდარი ინციდენტის შესწავლა და ამის შესახებ შესაბამისი დასკვნის, ანგარიშის (და ა.შ.) მომზადება, თუ კი მოხდა გთხოვთ მოგვაწოდოთ ამის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (კანონის შესაბამისად პერსონალური მონაცემების იდენტიფიცირების გარეშე)
2. გთხოვთ მოგვაწოდოთ იმ ნორმატიული აქტების ასლები, რომლებითაც ხელმძღვანელობენ, უნდა იხელმძღვანელონ სკოლის თანამშრომლებმა მსგავსი ინციდენტის დროს.
3. გთხოვთ გვაცნობოთ, როგორ შეფასდა სკოლის კონკრეტული მასწავლებლის, სკოლის ხელმძღვანელობის ქმედებები აღნიშნული ინციდენტის მართვის პროცესში და ხომ არ გამოიკვეთა მათ ქმედებებში რაიმე ტიპის ხარვეზი და ხომ არ განხორციელდა მათ მიმართ რაიმე ტიპის სანქცია? (ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ, მოგვაწოდოთ დეტალური ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვით).

განათლების სამინისტროს პასუხი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 9 22 0000943635
25/08/2022

"რადიო თავისუფლების" ჟურნალისტს
ქალბატონ გვანცა ნემსაძეს
ელ. ფოსტა:gvancanemsadze@gmail.com

ქალბატონო გვანცა,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილ თქვენს განცხადებასთან (სამინისტროში რეგისტრაციის N894216; 11.08.2022) დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი საჯარო სკოლის დირექციის საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის ფაქტებზე ახდენს რეაგირებას და ამ კუთხით სკოლის დირექციის ქმედებებში არსებული დარღვევის არსებობის შემთხვევაში ადგენს დასკვნას ან ამზადებს ანგარიშს. თბილისის N74 საჯარო სკოლაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მოახდინა მყისიერი რეაგირება. რაც შეეხება სკოლის პედაგოგის ქმედებებში გადაცდომის არსებობას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის“ თანახმად, მასწავლებლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე რეაგირების მოხდენა წარმოადგენს სკოლის დისციპლინური კომიტეტის კომპეტენციას, შესაბამისად, უფლებამოსილი ხართ, მიმართოთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.
აქვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

პატივისცემით,

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32)2 200 220

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების
სამმართველოს უფროსის ფუნქციათა
შემსრულებელი
ნათია ლომთაძე